ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7297891

ნომერი: AR11066848

თარიღი : 19.11.2024

გაცემის თარიღი : 25.11.2024

გაცნობის თარიღი : 25.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ჭავჭანიძე პ/ნ 01024018748
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 71ბ ბ. 113

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 19 ნოემბერს №AR11066848 განცხადებით მომართა პაატა ჭავჭანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 7

ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებით, №: 01.72.14.009.614 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 2026 წლის 7 მაისის წლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, შესაბამისად ითხოვს ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე სპორტული მოედნის 270.3 კვ.მ. ფართობის დაფიქსირებას. ამასთან, ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად 3601169.0 კვ.მ-ის ნაცვლად 38315.96 კვ.მ-ის (შეტყობინება 22.11.2024 წ.), საცხოვრებელ ფართობად 15851.84 კვ.მ-ის ნაცვლად 15854.95 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 379.98 კვ.მ-ის ნაცვლად 379.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 4698.3 კვ.მ-ის ნაცვლად 4712.35 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 30013.36 კვ.მ-ის ნაცვლად 29759.64 კვ.მ-ის დაფიქსირებას (შეტყობინება 21.11.2024 წ.).
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. შესაბამისად, შეთანხმებულ ბრძანებაში შესაძლებელია ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებაში და ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდეს სპორტული მოედნის 270.3 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 38315.96 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 15854.95 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 379.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 4712.35 კვ.მ., საერთო ფართობად - 29759.64 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებით შეთანხმებული +13.20 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ოქტომბრის №7243153 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.